საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/184

ქ. ბათუმი 15 -----აპრილი, 2020 წელი

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს მოქალაქე ამირან ცივაძის ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 52–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 31 მარტის ბრძანების (MES 920 0032 34 33), ამირან ცივაძის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების (გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 16 მარტის NMES 0202 00301582, ამირან ცივაძესთან გაფორმებული ხელშეკრულებისა (№26-15/21-2006/ბ, 10.04.2020), ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 აპრილის №MES 3 20 00337315 მოხსენებითი ბარათის, ამირან ცივაძის 2020 წლის 15 აპრილის განცხადების (წარმოდგენილი ბსუ-ს ელექტრონულ ფოსტაზე - info@bsu.edu.ge) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მოქალაქე ამირან ცივაძე (პ/ნ) ჩაირიცხოს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და დაიწყოს სწავლა სწავლების მეორე სემესტრიდან (2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი) მის მიერ უცხოეთში (კიევის ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე) ათვისებული და ბსუ-ს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადი 32 კრედიტის (**დანართი 1**) გათვალისწინებით.
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
3. ტექნოლოგიური ფაკულტეტმა უზრუნველყოს:
   ა) ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილებასთან ერთად, ამირან ცივაძის მიერ მისივე განცხადებაში (2020 წლის 15 აპრილს წარმოდგენილი ბსუ-ს ელექტრონულ ფოსტაზე - info@bsu.edu.ge) აღნიშნული სასწავლო კურსების აკადემიური რეგისტრაცია და დარეგისტრირებული კრედიტების სწავლის საფასურის გადახდისათვის შესაბამისი ინფორმაციის სტუდენტისათვის მიწოდება;

ბ) წინამდებარე ბრძანება აცნობოს ამირან ცივაძეს (გაუგზავნოს ამირან ცივაძის ხელშეკრულებაში (№26-15/21-2006/ბ) აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე) და განათავსოს სტუდენტის პირად საქმეში.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის N30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 15 აპრილის

N 01-08/184 ბრძანების

დანართი 1

უკრაინის ქალაქ კიევის ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **ამირან ცივაძის** (პ/ნ) მიერ ათვისებული კრედიტების ბსუ-ს „არქიტექტურის“ საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადობის შესახებ

უკრაინის ქალაქ კიევის ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები			**ბსუ ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები**		**აღიარებუ კრედიტები სულ**	**შეფასება**	**შენიშვნა**
დასახელება	კრედ.	შეფასება	დასახელება	კრედ.			
ინჟინერია და კომპიუტერული გრაფიკა	3	60	კომპიუტერული გრაფიკა I	5	5	60	
უმაღლესი და გამოყენებითი მათემატიკა	6	62	მათემატიკა ინჟინრებისათვის	5	5	62	
ინფორმატიკა	4	60	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5	5	60	
უცხო ენა (პროფესიული მიმართულებით)	5	60	დამატებითი სპეციალობის/არჩევითი სასწავლო კურსის ნაცვლად		5	60	
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	3	60			3	60	
ადამიანის ჯანმრთელობა	3	61			3	61	
ეკონომიკური თეორია (მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა)	6	60			6	60	

სულ აღიარებული 32 კრედიტის გათვალისწინებით სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრში სწავლების II სემესტრიდან.